პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 231 (13923) | კვირა, 1 ოქტომბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღბენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1967 წლის 26 ოქტომბერს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვპაძე.

თბილისი, 1967 წლის 30 სექტემბერი.

პარტიის ზრუნვა თანგვაგონებს

ვალი არ დავრჩებით

გორი. (საკ. კორ.). პარტიისა და მთავრობის ახალ დადგენილებას სიხარულით შეხვდნენ გორის სამრეწველო საწარმოთა მუშა-მოსამსახურენი. ყველგან გაიმართა მიტინგები, რომლებზეც განიხილეს საბჭოთა მშრომელებზე დიდი ზრუნვის ეს დოკუმენტი და იკისრეს ახალი ვალდებულებანი.

მიტინგები გაიმართა გორის ბამბეულის კომბინატის ყველა ფაბრიკაში. მცსოველმა ნ. ბერიაზიანმა, თაღარიგის ოფიცერმა გ. სიმონიშვილმა, დაწლაგებელმა ნ. თამარიანმა, ომის ვეტერანმა ვ. თოფჩიშვილმა და სხვებმა პირობა დადეს, რომ ძალღონის დაუზოგავად იშრომებენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

— დღეს თუ 110 პროცენტით ვასრულებ ყოველდღიურ გეგმებს, — თქვა გამათენებელი ეს დოკუმენტი და ოსტატმა რ. მღებრიშვილმა, — ხვალ 120 პროცენტით გავანაღდებ ვალდებულებას, სანამეშო წესრიგში მეკნენი ყველა დაზგა-დანადგარი. შეუფერხებლად იმუშაკენს ჩემი უბანი.

ასეთივე მაღალი ვალდებულებები იკისრეს გორის სხვა საწარმოების მშრომელებმაც. მიტინგები გაიმართა საკონსერვო კომბინატში, „გორიხელსაწყოში“, შპალსაღებში და მექანიკურ ქარხნებში, პოტკომბინატში.

გავამართლებთ პარტიისა და მთავრობის დიდ ზრუნვას, ვალში არ დავრჩებით, — ასეთია გორის მრეწველობის მუშაკთა სიტყვა.

ხალხრავალი იყო თბილისის „საქტრიკოტაჟის“ ფაბრიკაში გამართული კრება, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

კრება გახსნა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ხახიაშვილმა. მან თქვა: — ჩვენი გული სიხარულითაა აღსავსე. დადგენილების თითოეული სტრიქონი გამსჭვალულია ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის ზრუნვით. ჩვენი ვალია ყველა ფიქრი ვიმუშაოთ, რომ წელილი შევიტანოთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

მხოლოდ ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში არის შესაძლებელი ასე ზრუნავდნენ ადამიანისათვის, — თქვა მკერავმა ა. ირაპეტოვამ. — ვალდებულებას კისრულობ წლიური გეგმა შევასრულო დიდი ოქტომბრის იუბილესათვის. ეს იქნება სამშობლოსადმი ჩემი სიმუქარი.

— ხელფასის მომატება, ბადასახადების შემცირება, შვებულებების გადიდება — რაოდენ სასახარულოა ეს ჩვენთვის ქალებისათვის! — ამბობს გამომქრელი ვ. სოროკა.

— მუშური მადლობა მშობიარე კომუნისტურ პარტიას ასეთი ზრუნვისათვის, — თქვა სამკერვალო სამკერის მკერავმა დ. ბოგდანოვამ, სახელმწიფოს დიდი სახსრები დასჭირდება, რომ განახორციელოს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. მაგრამ ნუშათა კლასს აქვს ასეთი ტრადიცია — პარტიისა და მთავრობის ზრუნვას უპასუხოს დამკერელური შრომით. ერთსულოვანი შრომით, ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებით კიდევ უფრო განვამტკიცებთ სახელმწიფოს ეკონომიურ ძლიერებას.

მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი

დღითიდღე გვიახლოვდება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი. და როცა ვაჯამებთ ყოველივეს, რაც ჩვენში გაკეთდა, სიამაყით აღვნიშნავთ ჭეშმარიტად დიდ ისტორიულ წარმატებებს, რომლებიც ჩვენმა პარტიამ, ხალხმა მოიპოვეს სახელოვანი ნახევარი საუკუნის მანძილზე. ამ წარმატებათა ძირითადი წყაროა მარქსიზმ-ლენინიზმი. იგი უნათებდა გზას ოქტომბრის რევოლუციის მოიერიშეებს და დღესაც იგია კომუნიზმის მშენებელთა წინსწავლის კომპასი.

„პარტია უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, — კომუნისტების, განსაკუთრებით ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინურ განათლებას, მოსახლეობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას“.

ტრადიციად იქცა პირველი ოქტომბრიდან პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყება. მილიონთა ლენინურ უნივერსიტეტში სამეცადინოდ მოვლენ ქალაქისა და სოფლის კომუნისტები, უპარტიო აქტივისტები. მათ ამოძრავებს კეთილშობილური მისწრაფება — ღრმად და თანმიმდევრულად დაეუფლონ სამეაროს გარდამქმნელი მეცნიერებას — მარქსიზმ-ლენინიზმს. ისწავლონ მისი სწორად გამოყენება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში.

კომუნისტური პარტიის გამოცდილებამ, საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვანი გზა ჭეშმარიტად ადასტურებს დიდი ლენინის იმ მითითების სისწორეს, რომ რევოლუციური წინსვლა შესაძლებელია მხოლოდ მოწინავე რევოლუციური თეორიით. რაც უფრო მტკიცეა კომუნისტთა იდეური რწმენა, მით უფრო მაღალია მასების შეგნებულობა, მით უფრო წარმატებით ხორციელდება კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები. რევოლუციური თეორიის დაუფლება ადამიანებს აძლევს მძლავრ იარაღს და უძლეველს ხდის მათ კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

კომუნიზმის მტრებს არაერთხელ უცდიათ მარქსიზმ-ლენინიზმის გაბათილება. მაგრამ მათი უბადრუკი ცდები ყოველთვის ამაო ყოფილა. სოციალიზმის მაგინებელნი მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მარქსიზმ-ლენინიზმი კი გახდა ასეულ მილიონობით ადამიანთა დროშა ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში, და დღეს მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი ძლევამოსილი წინსვლის შეჩერება.

ნახევარი საუკუნის წინათ ვ. ი. ლენინი წერდა, „რომ მსოფლიო ისტორიის ყოველ ეპოქას მარქსიზმისათვის მოუმზადა „ახალი დადასტურება და ახალი ტრიუმფი. მაგრამ უფრო მეტ ტრიუმფს მარქსიზმს, როგორც კრულებარიატის მოძღვრებას მოუტანს მომავალი ისტორიული ეპოქა“.

ასრულდა დიდი ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები! ჩვენი ეპოქა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვების ეპოქაა.

ახალი საზოგადოების მშენებლობის გზაზე საბჭოთა ადამიანები უდიდესი მასშტაბისა და ხორცსხმული ამოცანებს წყვეტენ. აქ საქმიც წარმატების პირველ რიგში აღწევენ ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ მაღალი შეგნება და შესწავლა უნარი შემოქმედებითად გამოიყენონ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული დებულებანი კონკრეტული საქმეების პრაქტიკულ გადაწყვეტაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება, ზრუნვა საკუთარი იდეური—თეორიული დონის ამაღლებისათვის თვითეული კომუნისტის საწესდებო მოვალეობაა. ცხადია, ადვილი როდია ერთსა და იმავე დროს ეუფლო ამ ორ ფრონტზე. ამ ორ ფრონტზე ბრძოლა ადვილი ვერ იქნება. ეს ბრძოლა ორ ფრონტზე ბევრ ადამიანს ეძლევა ორიენტირების ძალას, პასუხს პრაქტიკულ მუშაობაში წამოჭრილ კითხვებზე. იმისათვის, რომ მივიღოთ ცოდნის სისტემა, ღრმად, ყოველმხრივ დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერებას — მის ფილოსოფიას, პოლიტეკონომიას, მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებს, კარგად ვიცოდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, რასაკვირველია, საჭირო იქნება ბეჯითი, თავდადებული შრომა.

დიე თეორიის დაუფლებაში კვლავაც აღგვაფრთოვანებდეს კარლ მარქსის დიდებული სტაყვები: „მეცნიერებაში არ არსებობს ფართო შარავანდი, და მხოლოდ მას შეუძლია მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აუბინებს დაღლა მის კლდოვან ბილიკებზე ასვლისას“.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შედეგები ცხადყოფენ იმას, რომ კიდევ უფრო გაიზარდა ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტების, უპარტიო აქტივისტების ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისადმი. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, რუსთავის, ბათუმის, ზუგდიდის, მახარაძის და სხვა პარტიულმა ორგანიზაციებმა წელს განსაკუთრებით ფართოდ გაშალეს მუშაობა პოლიტიკური განათლების სისტემაში მეცადინეობას ორგანიზირებულად დაუყენებისათვის. პირველადი პარტიული ორგანიზაციები სწავლობდნენ პარტიის წევრთა სურვილებს, გულდასმით აკომპლექტებდნენ სკოლებსა და სემინარებს. დიდი მუშაობაა გაწეული პროპაგანდისტთა კადრების შესარჩევად და მოსამზადებლად. წელს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლების ამხოლუტური უმრავლესობა შეუდგება პოლიტეკონომიის შესწავლას. ამიტომაც მოეწყო ამ დარგის პროპაგანდისტთა ზონალური კურსები, რომლებიც 1.600-ზე მეტმა კაცმა გაიარა.

სასწავლო წელი ქალაქად და სოფლად ერთდროულად იწყება. ამოცანა ის არის, რომ აქედანვე ყველა რგოლში ავამაღლოთ მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონე. პარტიულმა კომიტეტებმა, როგორც წინა წლებში, ისე ამჟამადაც მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ სწავლის იდეურ-პოლიტიკური შინაარსს, მის თეორიულ დონეს. მიზანშეწონილია, რომ პარტიულმა კომიტეტებმა კრიტიკულად გაუკეთონ ანალიზი პარტიული განათლების სისტემის მუშაობის დაწყებას, განიხილონ იგი თავიანთ სხდომებზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

წელს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები გვაქვს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისათვის. დიდი იუბილესათვის მზადებამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებმა „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“ კიდევ უფრო გაამდიდრა ჩვენი პარტიის იდეური ცხოვრება. პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დაწყებას წინ უძღოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების შესწავლა და ფართო პროპაგანდა, რაც გრძელდება. ახლა საჭიროა პარტიული პროპაგანდა, თეორიული სწავლება ორგანულად დავუკავშიროთ პარტიის პოლიტიკას, დიდი იუბილესათვის მზადების კონკრეტულ ამოცანებს.

„იდეოლოგიურ მუშაობაში პარტია ხელმძღვანელობს ლენინის მითითებით, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, — რომ კომუნისტური აღზრდა არ არსებობს და არც შეიძლება იყოს ისე, თუ არ არის შეგნებული შრომა და საზოგადოებრივი საქმიანობა. პარტია ასოციალიზმის საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულ საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის კურსს“.

პარტიისა და ხალხის მთელი ყურადღება ამჟამად მიპყრობილია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მოსამზადებლად, მასების დასარაზმავად სკკპ XXIII ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სხდომების პლენუმის დადგენილებათა განმარტებისათვის. ამან თავისებური ასახვა და ორგანული დაკავშირება უნდა ჰპოვოს პოლიტიკური განათლების სისტემის მუშაობაში.

თეორიის დაუფლების საფუძველია დამოუკიდებელი მუშაობა. ამიტომ პოლიტიკური სწავლების ყველა რგოლში ადამიანები უნდა მივაჩვიოთ დამოუკიდებლად მეცადინეობას წიგნზე, პირველწყაროზე. დავეხმაროთ მათ ლიტერატურით, კონსულტაციებით და ამავე დროს პეროდულად შევამოწმოთ თუ რას აკეთებენ ისინი, როგორ ამაღლებენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს.

პოლიტიკური განათლება პარტიული ორგანიზაციის მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანია. ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ პარტიული პროპაგანდა შეეხამებოდეს კომუნიზმის მშენებლობის დიდ ამოცანებს და მისი საბრძოლო იარაღი იყოს.

ჩემი სამშობლო!

რუსეთი! ამ სიტყვის გაგონებაზე წარმოგვიდგება ბუნების უსაზღვრო მოშიბვლელობა და ლაღი სიმღერა, გოლიათური ძალა და სულიერი სიმდიდრე. რუსეთი — ეს არის დიდი ხალხის დიადი ისტორია, ეს არის ლენინის და ლენინიზმის სამშობლო.

და ტყუილად როდია, რომ რუსეთის გარშემო, რომელშაც მსოფლიოში აღმართა დიდი ოქტომბრის დროშა, შეკავშირდნენ თავისუფალი საბჭოთა ხალხები. და სწორედ რუსეთის ფედერაცია ამოავრებს საბჭოთა ხელისუფლების ნახევარი საუკუნის იუბილესადმი მიძღვნილ ჩვენი სამშობლოს ტალანტების ფესტივალს.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ოთხი თვის წინ დაიწყო ღრმა აზრით გამსჭვალული ძმობის დღესასწაული. აქ ჩამოიტანეს თავიანთი გული საჩუქარი, თავიანთი შთაგონებული შემოქმედება მზიური სომხეთისა და მაღალმთიანი ყირგიზეთის, მცხუნვარე თურქმენეთისა და რუსპუბლიკა-ბაღის მოღდაგეთის შვილებმა. ამობლიური მზარის ნაოელი სახლი ჩამოიტანეს აქ ბალტიის ზღვის, დნეპრისა და ნემანის ნაპირების, ყაზახეთის ველების, ნავთობის სამშობლოს ბაქოს წარმომადგენლებმა. უკრაინელები, ქართველები, უზბეკები, ბელორუსები და ტაჯიკები ერთმანეთს გადასცემდნენ ესტაფეტს დიდი ძმობისა, რომელშაც ერთ ოჯახად შეაკავშირა საბჭოთა კავშირის ხალხები.

და აი, 29 სექტემბერს, კრემლის ყრილობათა სასახლეში გაისმა საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და ურღვევი ერთობის, ლენინისა და კომუნისტური პარტიის სადიდებელი სიმღერა. რუსეთის ფედერაციის ხელოვნებისა და მხატვრული თვითმოქმედების ოსტატთა კონცერტი გადაიქცა გრანდიოზული დათვალიერების სადღესასწაულო ფინალად, რომელშიც მონაწილეობდნენ თსუთმეტივე რესპუბლიკის საუკეთესო შემოქმედებითი ძალები.

ვრცელი და მრავალფეროვანი პროგრამის ყველა ნომერი შესანიშნავად ასახავდა, თუ რაოდენ ბევრი რამ მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთის ხალხებს.

ექვსი მილიონი მოყვარული მსახიობი მონაწილეობდა სახალხო ტალანტების სრულიად რუსეთის დათვალიერებაში. ხალხის მასობრივი ხელოვნების „ღრმა დაზვერვამ“ გამოავლინა ახალი სახელები, ახალი ტალანტები, რომლებსაც სამართლიანად ხვდათ პატივი გამოსულიყვნენ კრემლში.

ერთ სადიდებელ ჰიმნს ჰქმნიდნენ როგორც მოყვარული მსახიობები, ისე პროფესიონალი მსახიობები. კონცერტში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, სსრ კავშირის დიდი თეატრის სიმფონიური ორკესტრი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სასუფევ ორკესტრი, რესპუბლიკური აკადემიური საგუნდო კაპელა, სრულიად საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი გუნდი, მოსკოვის სახელმწიფო გუნდი, გნესინების სახელობის ინსტიტუტისა და ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდიის გუნდი და სხვა კოლექტივები. 2 ათასზე მეტი მსახიობი გამოვიდა ფინალში.

...ეს იყო შთამბეჭდავი სანახაობა! კრემლის თეატრის უზარმაზარი სცენის სიღრმეში დაწყებული სადღესასწაულო სვლა გადავიდა მთელ დარბაზში, შეავსო პარტერისა და იარუსების გასასვლელები. კრემლის სასახლე ბრწყინავდა საბჭოთა ხალხების ეროვნული ტანსაცმლის ფერებით. მთელი დარბაზი ასრულებს კომპოზიტორ ა. ნოვიკოვის სადიდებელ სიმღერას რუსეთზე, ხალხთა მარადიულ ძმობაზე.

კონცერტზე, რომელშაც დიდი წარმატებით ჩაიარა იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. პოსტიგინი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, დ. ფ. უსტინოვი, ი. ვ. კაბანოვი, ფ. ნ. პეტროვსკი, ბ. ნ. პონომარიოვი და სხვები. (საკ. ინ.).

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობისაგან

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო მონეტების მიმოქცევაში გამოშვების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად 1967 წლის 1 ოქტომბრიდან მიმოქცევაში გამოშვებული იქნება ერთი მანეთის, 50, 20, 15 და 10 კაპიკის ღირებულების საიუბილეო მონეტები.

სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და ცალკეული

საიუბილეო მონეტებს აქვთ წრის ფორმა, რომლის დიამეტრია:

— მანეთიან მონეტას — 31 მილიმეტრი, სისქე — 2,10 მილიმეტრი;
— 50 კაპიკიან მონეტას — 25 მილიმეტრი, სისქე — 2,0 მილიმეტრი;
— 20 კაპიკიან მონეტას — 21,84 მილიმეტრი, სისქე — 1,70 მილიმეტრი;
— 15 კაპიკიან მონეტას — 19,56 მილიმეტრი, სისქე — 1,60 მილიმეტრი;
— 10 კაპიკიან მონეტას — 17,27 მილიმეტრი, სისქე — 1,30 მილიმეტრი.

1 მანეთისა და 50 კაპიკის ღირებულების მონეტების მხარეს შუა ნაწილში გამოსახულია ვ. ი. ლენინი ნამღვლისა და ეროს ფონზე. მარცხენა ნაწილში გალაგებულია წარწერა „სსრკ“ და ხუთკუთხიანი ვარსკვლავი. მონეტების მეორე მხარეს შუა ნაწილში გამოსახულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო გერბი, რომელსაც გარშემორტყმული აქვს წარწერა „საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდაათი წელი“. მონეტების ქვემო ნაწილში შესაბამისად წარწერილია „ერთი მანეთი“ და „ორმოცდაათი კაპიკი“, რაც აღნიშნავს მათს ღირებულებას. მანეთიან მონეტებზე წარწერილია „დიდება დიდ ოქტომბერს“ და ციფრები „1917-1967“, ხოლო 50 კაპიკიან მონეტებზე — რიგრიგობით წერტილები და ვარსკვლავები.

20 კაპიკიანის მონეტის ერთ მხარეს ზემო ნაწილში გამოსახულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო გერბი. მარცხენა ნაწილში ციფრი „1917“ და მარჯვენა ნაწილში ციფრი „1967“. მონეტის ქვემო ნაწილში წარწერილია „საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდაათი წელი“. მონეტის მეორე მხარეს გამოსახულია კრეისერი „აურორა“, ზემო ნაწილში წარწერით „20 კაპიკი“ აღნიშნულია მისი ღირებულება.

15 კაპიკიანის მონეტის ერთ მხარეს ზემო მარჯვენა ნაწილში გამოსახულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო გერბი, ქვემო ნაწილში „15 კაპიკი“ აღნიშნულია მისი ღირებულება. მონეტის მეორე მხარეს გამოსახულია „მუშა და კოლმეურნე ქალი“. მონეტის მარცხენა ნაწილში წარწერილია ციფრები „1917“ და „1967“.

10 კაპიკიანი მონეტის ერთ მხარეს მარცხენა ნაწილში გამოსახულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო გერბი, რომელსაც გარშემორტყმული აქვს კოსმოსური ხომალდის ფრენის ორბიტები. მონეტის მარჯვენა ნაწილში განლაგებულია ციფრები „1917“ და „1967“. მონეტის მეორე მხარეს ამომავალი მზის ფონზე გამოსახულია მონუმენტი, რომელიც აღიმართა კოსმოსური სივრცის ათვისებაში საბჭოთა ხალხის თვალსაჩინო მიღწევის აღსანიშნავად. მონეტის მარჯვენა ზემო ნაწილში წარწერით „10 კაპიკი“ აღნიშნულია მისი ღირებულება. 20, 15 და 10 კაპიკიანი მონეტების ზედაპირი ღარულია.

• 1 ოქტომბერი საბჭოთა მასწავლებლის დღეა •



12 წლის იდგწის სკოლაში ბავშვების აღსაზრდელად ქალა ხუციშვილი. თბილისში დიღმის მასივში ახალი, 130-ე ქართული საშუალო სკოლა რომ გაიხსნა, იგი პირველ პედაგოგთა შორის იყო. მას კოლეგებში დიდი ავტორიტეტი აქვს და თავის აღსაზრდელთა სიყვარულით სარგებლობს.

„მასწავლებლის დღის“ წინადღეს მეექვსე კლასის აღსაზრდელები (მარცხნიდან მარჯვნივ) მ. ბერიანიძე, ნ. შათირიშვილი, ქ. გოგოლაშვილი, ა. ჩიგოგიძე მოვიდნენ, რომ მომავალი დღესასწაული მიულოცონ თავიანთ პედაგოგს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივი კომუნიკე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თავრობის მოწვევით 1967 წლის 19-დან 29 სექტემბრამდე საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი მეუღლითურთ.

ვიზიტის დროს თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ახლდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი იმანან ხაბრი ჩაგლაიანგილი, მრეწველობის მინისტრი მეჰმედ თურგუთი, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი რეფეთ სეზგინი, თურქეთის ელჩი სსრ კავშირში ბასან ეასთ ინიკი, პარლამენტის 9 წევრი და თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

ვიზიტის შედეგების მიხედვით მიღებულია საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივ კომუნიკე. კომუნიკეში ნათქვამია, რომ პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა და დელეგაციის წევრებმა, რომლებიც მას ახლდნენ, იმოგზაურეს საბჭოთა კავშირში და მოსკოვს გარდა იყვნენ ლენინგრადში, კიევში, ტაშკენტსა და ბაქოში. მოგზაურობის დროს ისინი გაეცნენ სხვადასხვა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, აგრეთვე საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებებს. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა გულწრფელი მადლობა გადაიხადა იმ სტუმართმოყვარეობისა და ყურადღებისათვის, რომელიც მისდამი და მისი თანმხლები პირებისადმი გამოიჩინეს როგორც მოსკოვში, ისე სხვა ქალაქებში, რომლებშიც იგი იყო.

თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ.

საპატიო თურქ სტუმარს საუბრები ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ა. ნ. კოსიგინთან. ამ საუბრების დროს, რაც ურთიერთგაგებისა და გულწრფელობის ვითარებაში მიმდინარეობდა, ორივე თავრობის მეთაურებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობის საკითხებზე, აგრეთვე საერთაშორისო პრობლემებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ კვლავ ვითარდება ორ ქვეყანას შორის მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის, თანასწორუფლებიანობის, პატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ ორივე თავრობა კონსტრუქციულად უდგებოდა ორმხრივი ურთიერთობის პრობლემებს, და ამასთან დაკავშირებით მიღწეულ იქნა დადებითი შედეგები. მომდინარე წელს ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილ იქნა ოქმი საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის რადიმარკაციის შესახებ. შეთანხმებანი თურქეთში საბჭოთა კავშირის დახმარებით მთელი რიგი სამრეწველო ობიექტების მშენებლობის, პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დაწესების შესახებ, აგრეთვე ვეტერინარიის საკითხებზე. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ამ ბოლო წლებში სსრ კავშირსა და თურქეთს შორის ვაჭრობაში გაიზარდა საქონელბრუნვა. მხარეები შეთანხმდნენ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის შემდგომი გაფართოების უზრუნველყოფის მიზნით.

თავრობათა მეთაურებმა რწმენა გამოთქვეს, რომ სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ყველმხრივ განვითარებას და მათს თანამშრომლობას შეუძლია გზა გაუკაფოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო მდგომარეობის განხილვისას თავრობათა მეთაურებმა დაადასტურეს თავიანთი ქვეყნების გულწრფელი სურვილი განაგრძონ საქმიანობა, რომლის მიზანია ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ახლანდელი მდგომარეობის შესახებ. მათ შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ისრაელის მტრული მოქმედების, აგრეთვე მის მიერ არაბულ სახელმწიფოთა ტერიტორიების მიტაცების შედეგად გამწვავდა ამ რაიონში არსებული პრობლემები. თავრობათა მეთაურებმა განაცხადეს, რომ მომხდარი ფაქტები არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც საბოლოო და ძალის გამოყენება არ შეიძლება ამართლებდეს ტერიტორიების მიტაცებას და უზრუნველყოფდეს პოლიტიკურ უპირატესობებს. თავრობათა მეთაურებმა განაცხადეს, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანოს ჯარები ნაომარი მოქმედების შედეგად მიტაცებული ტერიტორიებიდან. საბჭოთა კავშირისა და თურქეთის თავრობებმა კვლავ განაცხადეს თავიანთი დაინტერესება იმით, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთი მშვიდობისა და უშიშროების ზონა იყოს.

მხარეებმა შეშფოთება გამოთქვეს ვიეტნამში შექმნილი ვითარების გამო, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელ მსოფლიოში. მათ მიიჩნიეთ, რომ ვიეტნამელ ხალხს უნდა მიეცეს სრული შესაძლებლობა თვითონ თავისუფლად გადაწყვიტოს თავისი ბედი, როგორც ეს გათვალისწინებულია ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებით.

თავრობათა მეთაურებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები კვიპროსის საკითხზე. მათ განაცხადეს, რომ ხელოოზული საფრთხე გამოიწვია ხმელთაშუა ზღვის ამ აღმოსავლეთ რაიონში ვითარების გამწვავების და კვიპროსის სახელმწიფოსათვის დამოუკიდებლობის წართმევის ცდებმა. თავრობათა მეთაურებმა განაცხადეს, რომ კვიპროსის პრობლემა უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი გზით კვიპროსის სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საფუძველზე, ამასთან დაცულ უნდა იქნას ბერძენთა და თურქთა ეროვნული თემების კანონიერი უფლებები და ინტერესები, რაც უზრუნველყოფს მათს მშვიდობიან ცხოვრებას უშიშროებისა და ურთიერთ ნდობის ვითარებაში. მხარეები შეეხნენ აგრეთვე ევროპის უშიშროების პრობლემებს.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდმნიშვნელოვან დადებით როლს ასრულებს საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის საკითხებსა და საერთაშორისო პრობლემებზე ორმხრივი კონტაქტები და აზრთა ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით.

თავრობათა მეთაურებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ურთიერთობაში არ არის ისეთი საკითხები, რომელთა შედეგად შესაძლებელი იყოს მათი ძირეული ინტერესების შეჯახება. პირიქით, ამჟამად საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ურთიერთობის განვითარებისათვის, რაც შეეხამება ორივე ქვეყნის ინტერესებს, იქმნება საქმიანობის ფართო და ხელშემწყობი ასპარეზი.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივი კომუნიკეს დასახრულს ნათქვამია, რომ თავრობათა მეთაურებმა დიდი კმაყოფილება გამოთქვეს ეგმართული მოლაპარაკების გამო. მხარეებმა გამოთქვეს აზრი, რომ თურქეთის პრემიერ-მინისტრის სულეიმან დემირელის ვიზიტი საბჭოთა კავშირში, ისევე როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის შარშანდელი ვიზიტი თურქეთში, დადებითი ნაყოფი გამოიღებს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში.

(საკ.).

პარტიის ზრუნვა თანგვაგონებს

ვალი არ დავრჩებით

გორი. (საკ. კორ.). პარტიისა და მთავრობის ახალ დადგენილებას სიხარულით შეხვდნენ გორის სამრეწველო საწარმოთა მუშა-მოსამსახურენი. ყველგან გაიმართა მიტინგები, რომლებზეც განიხილეს საბჭოთა მშრომელებზე დიდი ზრუნვის ეს დოკუმენტი და იკისრეს ახალი ვალდებულებანი.

მიტინგები გაიმართა გორის

ᲩᲕᲔᲚ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲥᲡᲔᲚᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲜᲘ᭪ᲔᲑᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚ-ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲡ, ᲛᲝᲡᲐᲡᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲓᲔᲣᲠ-ᲐᲚᲛᲬᲠᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐᲣᲪᲕᲠᲝᲛᲚᲐᲓ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ.

ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ „ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡ“.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲔᲗᲔᲠ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ,

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲗ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘ. ᲧᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲘᲒᲠᲫᲝᲑᲐ ᲚᲐᲡᲘᲡᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲪᲚᲔᲑᲐ, ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ. ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲐᲠᲘᲡ. ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ, ᲘᲓᲔᲣᲠ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲬᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ. ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲓᲐᲣᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲝᲜᲣᲚ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ. ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ, ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛ

საერთაშორისო ცხოვრება

ლემირელი ანკარაში ჩავიდა

ანკარა, 29 სექტემბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტის შემდეგ ანკარაში სპეციალური თვითმფრინავით „ილ-18“-ით დაბრუნდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი. ანკარის ესენბოღის აეროდრომზე თურქეთის მთავრობის მეთაურს შეხვდნენ: რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარე ათასაგიუნი, მინისტრები, თურქეთის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომაღგენლები, აგრეთვე სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული თურქეთში ვ. ი. მინინი.

პრესისათვის აეროდრომზე გაკეთებულ განცხადებაში სულეიმან დემირელმა, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნა ის გულწრფელი სტუმართმოყვარეობა, რომლითაც საბჭოთა კავშირში ყველგან ხვდებოდნენ თურქეთის დელეგაციას.

„ყველაზე მთავარია, — განაგრძო სულეიმან დემირელმა, — ის, რომ მივაღწიეთ თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ხასიათისა და მიზნების ნათელ გაგებას“.

პრეზიდენტ ჯონსონის გამოსვლა სან-ანტონიოში

ვაშინგტონი, 30 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ სან-ანტონიოში კანონმდებელთა ეროვნული კონფერენციის დელეგატების წინაშე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონსონი. მისი გამოსვლა, რომელიც მთლიანად მიეძღვნა ვიეტნამის საკითხს, აშკარად ჩაფიქრებული იყო როგორც პასუხი იმაზე, რომ ძლიერდება ვაშინგტონის საერთაშორისო პოლიტიკის კრიტიკა როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე საზღვარგარეთ. პრეზიდენტი ჯონსონი ცდილა ამტკიცებდა, რომ შეერთებულ შტატებს სურთ „მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით“ მოაწესრიგონ ვიეტნამის პრობლემა, და, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან შეწყვეტონ ავიაციისა და ფლოტის თავდასხმები სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე, თუ ამას მოჰყვება პროდოქციული მოლაპარაკება“.

გენერალურ ასამბლეაზე

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე დღეს პირველმა სიტყვა წარმოთქვა ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ირიბარნე ბორხესმა.

შეეხო რა ვიეტნამის ომს, მან განაცხადა, რომ ვიეტნამის პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით და შეუძლიათ მხოლოდ იმ მხარეებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ კონფლიქტში.

ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება დაბეჯითებით მოითხოვს პოლიტიკური გადაწყვეტის გზების გამონახვას, განაცხადა ვენესუელის წარმომადგენელმა.

მინისტრი მიესალმა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმების პროექტს.

ვენესუელის მინისტრი თავს დაესხა კუბის პოლიტიკას და განაცხადა, რომ კუბა „ერევა“ ლათინური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში.

ალბანეთის დელეგატის გამოსვლის შემდეგ სიტყვა აიღო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა. გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიის ამოცანაა აღმოფხვრას არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგები, ხაზგასმით აღნიშნა **არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაამუდ რიადმა.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გადაურჩინ უნდა დაგმოს ისრაელის აგრესია, მოითხოვოს, რომ ისრაელმა გაიყვანოს ჯარები დაპყრობილი ტერიტორიებიდან და ანაზღაუროს ზარალი, რომელიც არაბულ ქვეყნებს მიაყენა ამ აგრესიის შედეგად.

რიადმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიკავეს ისრაელის მხარდაჭერისა და არაბი ხალხისადმი მტრული პოზიცია.

რიადმა შემდეგ განაცხადა, რომ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას სურს გახსნას სუეცის არხი მშვიდობიანი ვაჭრობისთვის, ამირებს დაიწყოს ახლად აღმოჩენილ ნავთობის საბადოთა ექსპლოატაცია, საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობით დაამთავროს ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობა,

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რაიმე პირობის დაუთქმელად შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა.

სხდომის დასასრულს პასუხის უფლება გამოიყენა და სიტყვა წარმოთქვა **ამერიკის შეერთებული შტატების** დელეგატმა ა. გოლდბერგმა. იგი შეეცადა შეენელებინა შთაბეჭდილება, რომელიც დელეგატებზე მოახდინა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, როცა ამბილა იმ მხარდაჭერისა და მფარველობის პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უწევენ ისრაელ აგრესორს. გოლდბერგის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები ისწრაფვიან, რომ ღირსეულად გადაჭრას ახლო აღმოსავლეთის პრობლემა და შშვიდობიანად მოწესრიგდეს ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა ამ რაიონის ქვეყნებთან.

ციხისნამების ახალი კამპანია

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სირიის მუდმივმა წარმომადგენელმა ჯორჯ ტომემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი გაგზავნილ წერილში მტკიცე პროტესტი განაცხადა სიცრუესა და ცილისწამების კამპანიის წინააღმდეგ, რასაც სირიის მიმართ ეწევა ისრაელი. წერილში უარყოფილია ისრაელ ხელისუფალთა მონაცემები, თითქოს სირიას ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა იმისათვის რომ არაბი მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევს ისრაელ ოკუპანტებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე. ეს არის პალესტინელი ხალხის წინააღმდეგობა უცხოელი ოკუპანტების მიმართ.

ცილისწამების ეს ახალი კამპანია მოწმობს, რომ ისრაელი გეგმავს ახალ აგრესიას სირიის წინააღმდეგ.

სირიის მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია სხვა მთავრობათა ყურადღება მიაპყროს ამ უბოროტეს ფაქტს.

მიტინგი ჰავანაში

ჰავანა, 29 სექტემბერი. (საკდესი). აქ ხოსე მარტის სახელობის რევოლუციის მოედანზე გუშინ გვიან საღამოს გაიმართა მასობრივი მიტინგი რევოლუციის დაცვის კომიტეტების VII წლისთავის გამო. მიტინგზე გამოვიდა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო. თავის სიტყვაში მან დაგმო ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიიღეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების XII საკონსულტაციო თათბირზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ვაშინგტონში.

ფიდელ კასტრომ დაწვრილებით ილაპარაკა კუბის მდგომარეობაზე. მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში, აღნიშნა მან, შეიცვალა. ჩვენ გავხდით უფრო ძლიერნი, ვიდრე რევოლუციის პირველ წლებში ვიყავით. ჩვენი გზა უფრო ნათელი გახდა, გაიზარდა ჩვენი ხალხის რევოლუციური შეგნება, იგი უკეთეა შეიარაღებული. კუბელი ხალხი, ხაზი გაუსვა ორატორმა, კვლავაც ივლის დასახული გზით, გაადიდებს თავის ეკონომიურ და სამხედრო ძალიერებას, რომ მზად იყოს ყოველგვარი აგრესიის მოგერიებისათვის.

დასასრულ რევოლუციის დაცვის კომიტეტებს უსურვა წარმატებანი შემდგომ მუშაობაში.

ჩინეთის ამბები

ამ ბოლო დროს ჩინეთის ბევრ ქალაქში ეწყობა მიტინგები, რომლებიც ძალთგნება მაო ძე-დუნის ამსწრანადელ „ინსპექციურ“ მოგზაურობას აღმოსავლეთ და ცენტრალური ჩინეთის პროვინციებში.

როგორც ჩინეთის პრესა წერს, მიტინგებში მონაწილეობენ ჯარის ნაწილები და ხუნვიბინები. სინხუას საგენტო იტყობინება, რომ პეკინში გამართულ მიტინგზე პეკინის გარნიზონის მეთაურებმა და ჯარისკაცებმა განაცხადეს, მზად ვართ უკანასკნელი წვეთი სისხლი და სიცოცხლე შევწიროთ კულტურული რევოლუციის, თავმჯდომარე მაო ძე-დუნს, მაო ძე-დუნის იდეებს, მისი ხაზისა და მისი შტაბის დაცვასო.

ამ დღეებში ჩინეთის პრესა მთავარ ყურადღებას უთმობს მაო ძე-დუნის „ახალ მითითებას ფართო გაერთიანების“ შესახებ. ამაგი ლიუშუნგიო მიმოინარეობს მზადება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 18 წლისთავისათვის.

ოფიციალური პროპაგანდა წერს, რომ გაერთიანების ლოზუნგი მაოს „დიადი სტრატეგიული გეგმაა“. მაგრამ მიმომხილველთა აზრით, ეს არის მაოს ჯგუფის ტაქტიკური უკან დახევა. მიაჩნიათ, რომ პეკინში გადადგა ჯოუ-ენ-ლაი შენგანი ბრძოლა ნოსაელის ალების პრინციპში. აღნიშნავენ მანვეარის მიმართეს შარშანაც მიესალის ალების დროს.

ამ აზრს ადასტურებს გაზეთი „ნენ გუიჯოუ ბაო“. რომელმაც გაზეთის პროვინციიდან მიღებულ ცნობაზე 21 სექტემბერს განაცხადა, რომ ქალაქ გუიანში დამთავრდა ათი დღის ოთხ-ბინი საწარმოო საკითხებზე, რომელიც ქალაქ გუიჯოუს პროვინციის „წვეულებიერმა კომიტეტმა“ და გუიჯოუს სამხედრო ოლქის სარდლობამ მოიწვიეს. თათბირში მონაწილეობდნენ ამავე პროვინციის წარმომადგენლები, სახელმწიფო საბჭოსა და ცენტრალურ უწყებათა თვალსაჩინო მოხელეები. თათბირზე მიიღეს „საინიციატივო მოწოდება“, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს შინაური ომი“ და „აღიკვეთოს ბრძოლა ძალის გამოყენებით“. ოფიციალურმა ჟურნალებმა აზრით, ეს არის მაოს ჯგუფის ტაქტიკური უკან დახევა. მიაჩნიათ, რომ პეკინში გადადგა ჯოუ-ენ-ლაი შენგანი ბრძოლა ნოსაელის ალების პრინციპში. აღნიშნავენ მანვეარის მიმართეს შარშანაც მიესალის ალების დროს.

ამ აზრს ადასტურებს გაზეთი „ნენ გუიჯოუ ბაო“. რომელმაც გაზეთის პროვინციიდან მიღებულ ცნობაზე 21 სექტემბერს განაცხადა, რომ ქალაქ გუიანში დამთავრდა ათი დღის ოთხ-ბინი საწარმოო საკითხებზე, რომელიც ქალაქ გუიჯოუს პროვინციის „წვეულებიერმა კომიტეტმა“ და გუიჯოუს სამხედრო ოლქის სარდლობამ მოიწვიეს. თათბირში მონაწილეობდნენ ამავე პროვინციის წარმომადგენლები, სახელმწიფო საბჭოსა და ცენტრალურ უწყებათა თვალსაჩინო მოხელეები. თათბირზე მიიღეს „საინიციატივო მოწოდება“, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს შინაური ომი“ და „აღიკვეთოს ბრძოლა ძალის გამოყენებით“. ოფიციალურმა ჟურნალებმა აზრით, ეს არის მაოს ჯგუფის ტაქტიკური უკან დახევა. მიაჩნიათ, რომ პეკინში გადადგა ჯოუ-ენ-ლაი შენგანი ბრძოლა ნოსაელის ალების პრინციპში. აღნიშნავენ მანვეარის მიმართეს შარშანაც მიესალის ალების დროს.

ამ აზრს ადასტურებს გაზეთი „ნენ გუიჯოუ ბაო“. რომელმაც გაზეთის პროვინციიდან მიღებულ ცნობაზე 21 სექტემბერს განაცხადა, რომ ქალაქ გუიანში დამთავრდა ათი დღის ოთხ-ბინი საწარმოო საკითხებზე, რომელიც ქალაქ გუიჯოუს პროვინციის „წვეულებიერმა კომიტეტმა“ და გუიჯოუს სამხედრო ოლქის სარდლობამ მოიწვიეს. თათბირში მონაწილეობდნენ ამავე პროვინციის წარმომადგენლები, სახელმწიფო საბჭოსა და ცენტრალურ უწყებათა თვალსაჩინო მოხელეები. თათბირზე მიიღეს „საინიციატივო მოწოდება“, რომელშიც ხაზგასმ-

ბრაზილიელ ჟურნალისტთა ბრალგადადება

ბუენოს-აირესი, 30 სექტემბერი. (საკდესი). ბრაზილიელ ჟურნალისტთა ასოციაციის ბრალგადადებულ ბრალდებულ ჟურნალისტ ალბერტ ბეგეგეს, ანტონიო ბეგეგეს, ანტონიო ბეგეგეს, ანტონიო

ᲫᲔᲑᲐ
ᲒᲝᲠᲣᲚᲘ
ᲕᲐᲨᲚᲘᲡᲐ

ᲮᲘᲚᲘᲡ უხვი მოსავალი აქვთ წელს გორის რაიონის ქიწნისის საბჭოთა მეურნეობაში. უკვე მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა ათობით ტონა მაღალხარისხოვანი გორული ხილი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: მეურნეობის № 1 ბრიგადის მოწინავე მკრეფავი რუსუდან წიქარაძე კრეფს ვაშლს.

ფოტო შ. კუკულავასი.

„ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ყველა საუკუნეში იყო სიხარულისა და შთაგონების წყარო. ქართველი ხალხისათვის იგი გახდა ცხოვრების ნამდვილი თანამგზავრი. სამშობლოს სილამაზით შთაგონებული მებრძოლი თუ ლირიკული ლექსი მუდამ ახლდა ქართველს ჭირსა თუ ლხინში. 800 წლისაა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“, 800 წელია ერთგულად ემსახურება მსოფლიო პოეზიის ეს მარგალიტი თავის ხალხს. ხალხი ზეპირად სწავლობდა პოემას, თაობიდან თაობას გადასცემდა, რადგან მასში ხედავდა საკუთარ და ზოგადსაკაცობრიო მისწრაფებებს, იგი იყო მეგობრობის, ძმობისა და სიყვარულის მძლავრი ჰიმნი.

შემთხვევითი როდია, რომ ამ ეპოქიდან პოეზიის დღესასწაული აღინიშნება გენიალური პოეტის დღესთან ერთად. ამით ხალხი გამოხატავს დიდ პატივისცემას პოემისა და მისი ავტორისადმი, რომლებმაც საუკუნეები გამოიარეს.

ქართული პოეზიის დღესასწაული დაიწყო 30 სექტემბერს შოთა რუსთაველის ძეგლთან. დღის ორ საათზე აქ გაიხსნა მიტინგი. ძეგლთან შეიკრიბნენ ქართველი მწერლები, პოეზიის მრავალი მოყვარული, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

დღეს ჩვენი ხალხი ზეიმობს რუსთაველის დღეს, პოეზიის დღეს, — თქვა მიტინგის გახსნისას საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, პოეტმა ი. ნონეშვილმა. — ეს ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო დღესასწაულია, რადგან იგი მოეწყო დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში.

ქართველ მწერალთა სახელით მან მხურვალედ მიულოცა შეკრებილთ რუსთაველის დღე და წაიკითხა ახალი ლექსი.

— ერთი წლის წინათ ჩვენმა ხალხმა და მასთან ერთად მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ დიდი სიყვარულით აღნიშნეს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი, — თქვა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ. — „ვეფხისტყაოსნის“ ცხოველმყოფელმა პათოსმა პოემის ნათელმა ჰუმანიზმმა გმირულმა სულისკვეთებამ ახლობელი და გასაგები გახადა ეს მსოფლიოს ყველა თავისუფალი მოყვარე ხალხისათვის, იგი დაუახლოვა საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროს, ქართული ლექსის დღესასწაული ქართული პოეზიის მარადიული სიჭაბუკის სიმბოლოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტებმა ა. მირცხულავამ, მ. ბარამიძემ, ლ. სულაბერიძემ, მ. ფოცხიშვილმა წაიკითხეს თავიანთი ახალი ლექსები.

პიონერებმა ყვავილებით შეამკეს შოთა რუსთაველის ძეგლი.

(საქდესი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ პროფკავშირული საზოგადოებრიობა გულთბილად მასპინძლობს ეთიოპიის მუშათა კავშირების კონფედერაციის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ეთიოპიის მუშათა კავშირების კონფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი მესხელ ჰაბრ მიქაელი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან კონფედერაციის ხელმძღვანელი მოღვაწეები, ეროვნულ პროფკავშირთა თავმჯდომარეები.

შაბათს ეთიოპიის წარმომადგენლები მიიღეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში. სტუმრებს მიესალმა პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. კიკნაძე. საუბრის დროს მან კონფედერაციის წარმომადგენლებს გააცნო საქართველოს პროფესიული კავშირების საქმიანობა, რომლებიც ერთიანებენ 1.300 ათას მუშასა და მოსამსახურეს.

ამხ. კიკნაძემ დელეგაციის წევრებს წარუდგინა თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი ვ. მაჭარაძე, ავტორი წიგნისა „ქართული დოკუმენტები რუსეთის, საქართველოს, ეგვიპტის, ეთიოპიის XVIII საუკუნის 80-იანი წლების ურთიერთობის ისტორიიდან“. მან თავისი წიგნი საბჭოთა და ეთიოპელი ხალხების მეგობრობის ნიშნად უძღვნა ეთიოპიის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და დელეგაციის მეთაურს.

საქართველოსა და ეთიოპიის ურთიერთობას, თქვა ამხ. კიკნაძემ, დიდი ხნის ისტორია აქვს. გამოვთქვამთ იმედს, რომ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაფართოვდება და რომ ეთიოპიის მუშათა კავშირების კონფედერაციის დელეგაციის ჩამოსვლა ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ეთიოპიის პროფკავშირებს შორის მეგობრული კონტაქტების დამყარებას.

მესხელ ჰაბრ მიქაელმა დელეგაციის წევრთა სახელით მადლობა გადაიხადა საუბრისათვის. ჩვენ ვიცოდით, თქვა მან, რომ წარსულში ეთიოპიისა და საქართველოს ჰქონდათ ურთიერთობა, მაგრამ არ ვიცოდით ის დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც გაშუქებულია ამ წიგნში. იქვე არ გვეპარება, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა განვითარდება და განტკიცდება. ეფიქრობთ, რომ ვიზიტი საქართველოში საშუალებას მოგვცემს დავამყაროთ თანამშრომლობა თქვენს პროფკავშირებთან.

დარბაზობას დაესწრნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ო. ცანავა, პროფსაბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები, პროფკავშირთა დარგობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები. (საქდესი).

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ“ № 9

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ყოველთვიურ სამეცნიერო-ეკონომიურ ჟურნალ **„საქართველოს სახალხო მეურნეობის“** მორიგი, მეცხრე ნომერი.

„ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ“ № 9

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ **„სკოლა და ცხოვრება“** მორიგი, მეცხრე ნომერი.

ᲔᲠᲬᲝᲡ ᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲫᲕᲔᲚᲔᲑᲘ

თბილისი. (საკ. კორ.). ერწოს ველზე მრავლად არის შემორჩენილი უძველესი ყოფის ამსახველი ნივთიერი კულტურის ძეგლები, რომლებიც დიდი ხანია იქცევენ მკვლევართა ყურადღებას.

ცნობები ერწოს შესახებ მოცემული აქვს წარსულის ბევრ მოღვაწეს, მაგრამ ივრის ხეობის წარსულის საფუძვლიანი შესწავლა მხოლოდ ამ ბოლო დროს დაიწყო. 1963 წლიდან ერწოში მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიცია უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ო. რამიშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ სხვადასხვა დროის მრავალი არქეოლოგიური ძეგლი აღმოაჩინა.

ჯერჯერობით ერწოს ველზე ყველაზე ძველ ძეგლს წარმოადგენს გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის სამაროვანი, რომელიც გაითხარა სოფელ თრანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ადგილ „ოკინის კალოზე“. გათხრების შედეგად სამარხებში აღმოჩნილი კერამიკული ნაწარმი, ბრინჯაოს და რკინის საბრძოლო იარაღები, სამკაულები, ირმის ბრინჯაოს ქანდაკება და სხვა მასალები საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ერწოს ძველი მოსახლეობის ეკონომიურ-კულტურული და სოციალური ყოფა.

მეტად საყურადღებო მასალები აღმოჩნდა „ქუშანაანთ გორაზე“, რომელიც სოფ. თრანსა და მაგრანეთს შუა მდებარეობს. აქ მესამე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოთხე საუკუნის დასაწყისის ნამოსახლარსა და სამარაგანზე გამოვლინდა ვერცხლის ორნამენტირებული თასი და ორი ფეზმაღალი სურა, ბეჭედი, მონეტები, თიხის ჭურჭელი, ხოლო მის მახლობლად მდებარე მეექვსე-მერვე საუკუნეების სამარხებში აღმოჩნდა სამკაულები, ქინძისთავები, ბეჭდები.

საინტერესო სამარხებია აღმოჩენილი სოფელ მაგრანეთის „საცხრე გორაზე“, „ოდინაანთ ნასახლარზე“, „დიდ ახოზე“.

ᲛᲝᲒᲖᲔᲒᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔ

30 სექტემბერს მოსკოვში ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კულტურის სასახლეში გაიმართა 1947 წელს გამოშვებული სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 119-ე ძირითადი და მე-20 დამატებითი ტირაჟები.

ძირითად ტირაჟში გათამაშდა 5.000, 2.500, 1.000, 500, 100 და 40 მანეთის მოგებანი, ხოლო დამატებითში, გარდა ამისა, 10.000 მანეთის მოგებანი.

ამ დღეს კიდევ ერთი ტირაჟი გაიმართა რიგაში. ეს აცნობეს საკავშირო კორესპონდენტს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტების მთავარ სამმართველოში. 1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მე-10 ტირაჟში გათამაშდა მოგებანი 40-იდან 5 ათას მანეთამდე. (საკდესის კორ.).

ᲛᲔᲮᲘᲙᲝᲡ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲘᲪᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲔᲡ?

ᲯᲔᲠ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ ალაპარაკდნენ ველოსიპედზე, მეხიკოს საფრთხე ემუქრებოდა. ქალაქის მესვეურებმა ამას ირონიული თვალით შეხედეს. მაგრამ 50-იანი წლების დასაწყისში, კოკისპირული წვიმების შემდეგ, წყალმა დატბორა ქალაქის ცენტრალური რაიონები. მაშინ კი ირონია ნამდვილმა განგაშმა შეცვალა. გამოირკვა, რომ ამ რაიონებმა 20 წლის მანძილზე დაახლოებით 6 მეტრით დაიწიეს და მათი „ჩაძირვის“ სიჩქარე ყოველწლიურად იზრდებოდა. ძველი შენობები პიზის ცნობილი კოშკივით იხრებოდნენ და საჭირო ხდებოდა მათი აღება.

1962 წელს, წვიმების სეზონში, მეხიკოს მცხოვრებლებმა ცოტა სახიფათო წუთი როდი განიცადეს. მთავარი არხი პირამდე აივსო, წყალი კი კვლავ ემატებოდა. ქალაქი კატასტროფას მხოლოდ ჯებირის რამდენიმე სანტიმეტრმა გადაარჩინა.

მეხიკო დრმა ტაფობის ფსკერზეა გაშენებული და შემოფარგლულია ვულკანური წარმოშობის მთაგრეხილებით. მონტეზუმას დროს ტაფობის უმეტესი ნაწილი ტბებით იყო დაფარული. სწორედ ერთ-ერთ კუნძულზე დააარსეს აცტეკებმა თავიანთი დედაქალაქი — მშვენიერი ტენოჩტიტლანი. ველს იგი სამი ჯებირით უერთდებოდა. უამრავ არხსა და შენაკადში კანოები და ორიხომელები დაცურავდნენ.

კონკისტადორებმა ქალაქი 1551 წელს დაიპყრეს. ესპანელებმა მონა ინდიელები მორეკეს, მიწასთან გაასწორეს დიდებული ტაძრები და სასახლეები, ამოავსეს არხები, დააშრეს წვრილმანი ტბები. ტენოჩტიტლანის ადგილას ახალი ესპანეთის დედაქალაქი მეხიკო აღიმართა.

მაგრამ არხების დანგრევასთან ერთად გაზრდდა ტატორვის შემთხვევები, არაფერი აღარ აფერხებდა სწრაფ ნაკადულებს. მთების ფერდობებიდან რომ მოედინებოდნენ. რამდენიმე ძლიერი დატბორვის შემდეგ ესპანელებმა წყლის გადასაგდებად ექვს კილომეტრნახევარი სიგრძის არხი გაიყვანეს, ხოლო ველიდან წყალი რომ გასულიყო, მთა გვირაბით გაჭრეს. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, ლაფით ივსებოდა წყალსაწრეტი სისტემები. 1629 წელს ძლიერი თავდასხმის შემდეგ, რომელიც დღენახევარს გაგრძელდა, ქალაქი წყლით დაიფარა და რამდენიმე ათასი კაცი დაიღუპა. ამან შეაფიქრინა მეხიკოს მესვეურნი, და ერთხანს დედაქალაქის სხვა ადგილას გადატანაზეც დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ იმდენად ბევრი სახსრები იყო დახარჯული მის აშენებაზე, დაარჩა ყველა ისე, ადგილი გახდა მიტოვება.

ჩვენს დროში ეს საკითხი კიდევ უფრო გამწვავდა. ამისი მიზეზი... წყლის ნაკლებობაა. გრუნტი, რომელზეც ქალაქი დგას, წყლით გაჟღენთილი ღრუბელს ჰგავს. ამიტომ თუ ნაადგილან ერთ კუბურმეტრ წყალს ამოიღებ, შიგ რჩება თითქმის ამავე მოცულობის სიცარიელე. ქალაქს კი ბევრი წყალი სჭირდება. ამუამად მეხიკოში 6 მილიონამდე კაცი ცხოვრობს და რაც უფრო მეტ წყალს იწოვენ არტეზიული ჭები, მით უფრო ჩაკარა „ჯდება“ ქალაქიც.

დედაქალაქის ყოველი უბნიდან მოდის საგანგაშო ცნობები. წმიდა მარიას ტაძარმა, ყველაზე ცნობილმა მეხიკოს ტაძართა შორის, დაიწია და დაიბზარა. დღეუპვა ემუქრება არქიტექტურის სხვა შედევრებსაც.

როგორც ჩანს, უნდა შემუშავდეს მშენებლობის რაღაც ახალი პრინციპები, რომელიც შეაჩერებს კატასტროფას. და აი უკვე გამოჩნდა სავსებით თავისებური არქიტექტურის შენობები, რომლებიც შედგმულია უზარმაზარ ფოლადის ჩარჩოზე. მათი საძირკვლისათვის თხრილი არ დასჭირვებია, ჩარჩო საკუთარი სიმძიმით ჩაერჭო გრუნტში ხუთი სართულის სიმაღლეზე! შემდეგ იქიდან წყალი ამოტუშეს და მკვიდრად დაამაგრეს. ამ მრავალსართულიანი შენობების წონა საძირკვლის ფართობზე ზუსტად არის განაწილებული. წელიწადში ორჯერ (და ყოველი მიწისძვრის შემდეგაც) თეოდოლიტით ამოწმებენ კონსტრუქციის ვერტიკალურობას. საქიროების შემთხვევაში ამცირებენ ან ზრდიან წყლის დონეს აუზებში და აღადგენენ ხოლმე შენობის პირვანდელ მდგომარეობას.

მაგრამ განა შეიძლება ასე აშენდეს ყველა სახლი ქალაქში?.. თუმცა მექსიკის დედაქალაქის გადარჩენის მრავალი გეგმა არსებობს, მაგრამ, როგორც ამბობენ, მათი განხორციელებისათვის უზარმაზარი სახსრებია საჭირო. დრო კი არ ითმენს.

ᲞᲝᲚᲝᲜᲣᲠᲘ ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

ᲘᲯᲐᲡᲣᲠᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲘ

ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ

ᲙᲝᲕᲐᲚᲡᲙᲘᲡ ვაჟს სურს ცოლად შეერთოს მანილოვსკების ქალიშვილი. პაპი მანილოვსკაია ეკითხება ქმარს:

— ნუთუ ჩვენ ნებას დავრთავთ ზოსიას ცოლად გაიყვანს ახალგაზრდა კოვალსკის?

— რასაკვირველია, ჩემი ძვირფასო, ეს ერთადერთი საშუალებაა შური ვიძიოთ მათზე.

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ

ᲥᲛᲐᲠᲘ შედის საბაბუანაში და რას ხედავს: ცოლი ჭიქას და ტალახს აცლის სამ ბიჭუნას:

— დაიცა, დაიცა, კი მაგრამ ჩვენ ხომ მხოლოდ ორი გვყავს?

— მართალია, მაგრამ ხომ უნდა გავიფიო, რომელია ჩვენი?

ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ

ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘᲚᲘ ცოლ-ქმარი. ჩხუბობს. ცოლი ყვირის:

— ერთი მამაკაციც არ მოიპოვება მილიონში, არა ათ მილიონში, თუმცა ეს მილიონშიც კი, შენისთანა ძუნწი რომ იყოს ცოლთან!

— იცი რას ვაფასებ ყველაზე მეტად შენში? ანგარიშის ნიჭს.

ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘ

ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲘ მდიდარი მიცვალებულის ოჯახს უკითხავს გარდაცვლილის ანდერძს:

„ვიცი რა სრული ჭკუაზე, მთელი ჩემი ფული შეგეტანა სიკვდილის წინ“...

ᲗᲮᲝᲕᲜᲐ

— მომისმინე, მასესხე 500 ზლოტი, ძალიან მჭირდება.

— ეჰ, როდის დამიბრუნებ?

— უფერე ამას. მე ჯერ ისიც არ ვიცი, მასესხებ თუ არა. შენ კი უკვე მეკითხები, როდის დამიბრუნებო!

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ“ № 9

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ყოველთვიურ სამეცნიერო-ეკონომიურ ჟურნალ **„საქართველოს სახალხო მეურნეობის“** მორიგი, მეცხრე ნომერი.

„ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ“ № 9

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ **„სკოლა და ცხოვრება“** მორიგი, მეცხრე ნომერი.

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲛᲡᲕᲔᲚᲘ

ᲛᲐᲢᲐᲜᲨᲘ (ახმეტა) ალოობა იწურებოდა. შინმიმავალმა გ. დ-მ გზისპირას ჯა შენიშნა, ანკარა წყალს დაეწოფა. მას შემდეგ თვე გავიდა. ზეზეურად ჩამოხმა ვაჟკაცი. ნახველთან ერთად ამოსულმა სისხლმა სულ დაბანია. დიბნენ თერაპევტებიც, ტუბდისპანსერის ექიმებმაც საეჭვოდ ფილტვები ჩათვალეს, მაგრამ რენტგენმა ყველაფერი უარყო.

გ. დ-ს არ უგრძვნია ყელის ტკივილი, მაგრამ თელავის რაიონის მთავარ ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ გიოს ბაკურაძეს მაინც მიაკითხა. ყელ-ყურის საუკეთესო სპეციალისტმა ხორხზე მიწებებული ფშის ფურნელა იოლად აღმოაჩინა. „ფილტვებიდან ნაფონი“ სისხლი, თავისთავად ცხადია, წურბელის მიერ ზედმეტად ნაწოვი სისხლი იყო.

ექიმმა ფრთხილად მოაშორა სისხლისმსმელი გ. დ-ს ხორხს. ავადმყოფი მალე მომჯობინდა.

(საკ. კორ.).

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ქალაქებში ჭელსინკსა და ტამპერეში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებიც ტამპერეში გამოდიან, ფინასყარი შეხვდრების მეორე მატჩი მოუგეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს — 83:67 და ლიდერობენ თანიანთ ჯგუფში.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ბულგარეთი-უნგრეთი — 66:58, საბერძნეთი-საფრანგეთი — 78:68, რუმინეთი-ესპანეთი — 88:85, ფინეთი-ჰოლანდია — 83:70, ჩეხოსლოვაკია-პოლონეთი — 90:75.

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ერთმანეთს ხვდებიან სსრ კავშირისა და შვეიცარიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. მართალია, სტუმრები არ ეკუთვნიან ფეხბურთის მოწინავე ქვეყნებს, მაგრამ უკანასკნელ ხანს წარმატებებს აღწევენ. ამას წინათ ევროპის ჩემპიონატის წინასწარ შეხვედრებში მათ გამანადგურებელი დამარცხება მიაყენეს რუმინეთს — 7:1. დღევანდელ მატჩზე შვეიცარიიდან 1.500 გულშემატკივარი-ტურისტი ჩამოვიდა.

თავისი არსებობის მანძილზე შვეიცარიის ეროვნულმა ნაკრებმა 320 მატჩი გამართა. აქედან მოიგო 89, ფრიდ დაამთავრა 53 და წააგო 178.

დღევანდელ მატჩზე საბჭოთა ნაკრების საორიენტაციო შემადგენლობა ასეთია: **პუენჩინკოვი, აფონინი, შესტერნოვი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, მასლოვი. ანიჩკინი, ტუაევი, ბანიშევსკი, ესკოვი, ევრიუკინი.**

Ტ. ᲨᲢᲐᲓᲚᲔᲠᲘ ᲗᲣ Ა. ᲙᲣᲨᲜᲘᲠᲘ?

ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ

ᲡᲣᲒᲝᲢᲘᲪᲐ. მსოფლიოს ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილთან მატჩის პრეტენდენტთა ტურნირზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, რასაც სიცხადე უნდა შეეტანა ლიდერთა ბდგომარეობაში.

იუგოსლავიელ **ტ. შტადლერს** ორი პარტია ჰქონდა გადადებული — **ვ. კოზლოვსკაიასთან** და **ა. კუშნირთან.** პირველს იგი ბრძოლის განუახლებლად შეუთანხმდა ყაიმზე. ა. კუშნირთან კი, თუმცა მტკიცედ იცავდა თავს, დამარცხდა. საბჭოთა მოჭადრაკემ მეთოდურად შეავიწროვა მოწინააღმდეგე და მცირე უპირატესობა გამარჯვებამდე მიიყვანა.

ტურნირზე ბრძოლა მეტად გაწელილადა. **ა. კუშნირი** დაეწია **ტ. შტადლერს.** ყველაფერს გადაწყვეტს დარჩენილი ორი ტური, რომლებშიც იუგოსლავიელი შეხვდება **მ. პეტროსიანსა** (რუმინეთი) და **გ. გრეხერს** (აშშ), **ა. კუშნირი** კი **ა. ნიკოლაუს** (რუმინეთი) და **კ. ფრიდმანს** (ისრაელი).

მ. პეტროსიანმა მოიგო **ვ. ასეროვას** (ბულგარეთი), **კ. ფრიდმანმ** — **ვ. ნედელკოვიჩი** ყაიმზე შეთანხმდნენ. **ტ. ზატულლოვსკაია** ამაოდ ცდილობდა ზედმეტი პაიკის რეალიზაციას **მ. მარკოვიჩთან** (იუგოსლავია) შეხვედრაში. პარტია 98-ე სვლაზე კვლავ გადაადგა.

თხუთმეტი ტურის შემდეგ **ტ. შტადლერსა** და **ა. კუშნირს** 11,5-11,5 ქულა აქვთ, **ტ. ზატულლოვსკაიასა** და **ვ. კოზლოვსკაიას** 10-10 (1-1) ქულა.



ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ქვეყნების დინამოელ მცურავთა საერთაშორისო ტურნირში კარგად გამოვიდა თბილისელი ა. იოსებიშვილი. მან სამ ახალი რეკორდი დაამყარა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ა. იოსებიშვილი გაცურვის დროს.

ფოტო ო. გელაშვილისა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ

29 სექტემბერს შვეიცარიაში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა პირველი შეხვედრა გამართეს ქ. ბილის გუნდთან. ეს თამაში თბილისის დროით გვიან ღამით დამთავრდა. გუშინ კი რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ქ. ლონდონას.

პირველი შეკითხვა, რომლითაც დელეგაციის ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარეს ბ. სიხარულიძეს მივმართეთ იყო:

— როგორ ითამაშეს დინამოელებმა?

— სამწუხაროდ ცუდად. ისინი დამარცხდნენ „ბილთან“ შეხვედრაში 1:3.

— როგორ მოხდა ეს?

— წვიმის შემდეგ მოედანი მძიმე იყო. ობიექტური რომ ვიყო, უნდა ვთქვა, რომ მოწინააღმდეგე თბილისის „დინამოზე“ გაცილებით სუსტი გუნდია. თუმცა არც ეს გვამართლებს. ამ დღეს დინამოელებს ვერ იცნობდით.

ფეხბურთში ხშირად როლს თამაშობს სპორტული „ბედი“. ის კი ჩვენს მხარეს არ იყო. მთელი მატჩი თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, ბურთი შვიდჯერ თუ რვაჯერ მოხვდა მასპინძელთა კარის ძელს. შვეიცარიელებმა მხოლოდ სამჯერ დაარტყეს კოტრიკაძის კარში მე-8, 28-ე და 35-ე წუთზე და სამი გოლი გაიტანეს. მეტად სუსტად ითამაშა კოტრიკაძემ. სუსტად გამოიყურებოდა დაცვაც, თავდასხმაც. ნახევარდაცვაში შედარებით გამოირჩეოდა კუტივაძე, რომელიც მეორე ტაიმის 33-ე წუთზე ერთადერთი სასახუხო გოლის ავტორი გახდა. გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: კოტრიკაძე (ურუშაძე), პეტრიაშვილი, ჭელიძე, რეზვიაშვილი, შერგელაშვილი, კუტივაძე, იამანიძე (დათუნაშვილი), ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია (ლ. ნოდია), მესხი.

თბილისელები დღეს შეხვდებიან — „ლიუცერნს“, 8 ოქტომბერს კი „ლოზანას“.

„ᲑᲐ“ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის (მეოთხე ზონა) გუნდების გასულითი თამაშები ასე დამთავრდა: „დინამო“ (მახაჩყალა) — „ენგური“ (ზუგდიდი) — 3:1, „არაქსი“ (ერევანი) — „დინამო“ (სოხუმი) — 2:2.

საქართველოს კოლექტივებს ჩემპიონატში შემდეგი ადგილები უკავიათ. მესამე ადგილზეა გორის „დილა“. მეექვსეზე სოხუმის „დინამო“, მეცხრეზე ქობულეთის „შუქურა“, მეცამეტე-მეთოთხმეტე ადგილებზე არიან რუსთავის „მეტალურგი“ და ლანჩხუთის „გურია“ თანმიმდევრობით, სატურნირო ცხრილს აბოლოვებენ — „მაღაროელი“ (ჭიათურა), „ენგური“ (ზუგდიდი), „ალაზანი“ (გურჯაანი) და „კოლხეთი“ (ფოთი).

ᲐᲡᲔᲒ ᲮᲓᲔᲑᲐ

ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ...

... ᲥᲐᲠᲐᲛ ᲓᲐᲣᲑᲔᲠᲐ. ვოლგაზე დიდი ტალღები აიკოჩრა. თევზაობა უნდა შემეწყვიტა. ნავით სოფლისაკენ რომ მივცურავდი, შევნიშნე — ნაპირის ახლო მერცხლების ჯგუფი შეშფოთებით ტალღებს თავს დასტრიალებდა. ნიჩბები სწრაფად მოვუსვი, შემთხვევის ადგილისაკენ გავეშურე. აღმოჩნდა, რომ ერთი ჭერ კიდევ ბარტყი ფრთოსანი წყალში ჩავარდნილიყო. ასეთი რამ ბევრჯერ მინახავს. მაგრამ აქ სრულიად სხვა რამ მოხდა. ფრთოსანს წყალში ჩავარდნა მისმა თანამძმეებმა შენიშნეს და დახსმარებლად მიაშურეს.

უცებ ორი მერცხალი ზუსტად იმ ადგილს დაეცხა ტალღაზე, სადაც ბარტყი „დაცურავდა“. ფრთოსნებმა ხაოცრად მოხერხებულად გამოსტაცეს ტალღას მეგობარი და ჰაერში „შეაგდეს“. ეს სკმარისი იყო იმისათვის, რომ „ცივი შხაპის მოყვარულს“ ფრთები გაეშალა და ნაპირისაკენ ფანაფარდებულიყო. მერცხლების ესკორტმა იგი მწვანე ნაპირომდე მიაცილა...

ამას წერდა გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ ფურცლებზე კალინინელი ᲒᲘ. ᲨᲣᲨᲐᲔᲕᲘ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, რომ ბელურები სწრაფი, თავგასული, თავხედი და მარდები არიან.

ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, მოსკოვის ახლოს „პლესკოვოს“ დასასვენებელ სახლში რომ ვიყავით.

... ცენტრალური კორპუსის სხვენის კუთხეში ყოველწლიურად მოჩანდა მერცხლის ბუდე, რომელიც უცერემონიოდ დაეკავებინა ერთ ბელურას.

მერცხალი შეეცადა გაეთავისუფლებინა ბუდე, რამდენჯერმე ბრძოლა გაუმართა მტერს, მაგრამ ძლიერი დარტყმა იგემა. მაშინ მერცხალი სადღაც გაფრინდა. მალე დაბრუნდა და თან ოცადენ მერცხალი მოჰყვა. მერცხლები ბუდესთან მიფრინდნენ — ზოგმა თიხით ამოლესვა დაუწყო ბუდეს, ზოგი როგორც ფუტკრები სკასთან, ისე ტრიალებდნენ ბუდის გარშემო და თავს ესხმოდნენ ბელურას. ნახევარი საათის შემდეგ მერცხლებმა ბუდის ამოსახვლელი თიხით ამოავსეს და ბელურა შიგ მოამწყვდიეს. რა გვექნა, საცოდავი ბელურა სიკვდილს ჩვენ გადავარჩინეთ. ეს საინტერესო ამბავი მოგვითხრო მ. ვანინმა გაზეთ „სელსკაია ჟიზნში“.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03. 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინ